საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამუშაო ძალის მაჩვენებლები (დასაქმება და უმუშევრობა)

2024 წლის III კვარტალი

19.11.2024
www.geostat.ge

19.11.2024

სამუშაო ძალის მაჩვენებლები
(დასაქმება და უმუშევრობა)
2024 წლის III კვარტალი

2024 წლის III კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 13.8 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე 2019-2024 წლებში, კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №1

უმუშევრობის დონე საქართველოში

(%)



2024 წლის III კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაქირავებულთა რიცხოვნობა გაიზარდა 31.2 ათასი კაცით (3.3%) და 974.4 ათასს მიაღწია, ხოლო თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა 9.9 ათასით გაიზარდა (2.4%) და 432.7 ათასი შეადგინა. ამავე პერიოდში უმუშევართა რაოდენობა შემცირდა 26.4 ათასით (10.5%) და 225.7 ათასი შეადგინა.

2024 წლის III კვარტალში სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (სამუშაო ძალის წილი 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში) წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.0 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 54.7 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო დასაქმების დონე გაიზარდა 1.8 პროცენტული პუნქტით და 47.1 პროცენტი შეადგინა. სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში გაზრდილია 2.0 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 0.3 პროცენტული პუნქტით. დასაქმების დონე ქალაქის ტიპის

დასახლებებში გაზრდილია 3.2 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში არ შეცვლილა და შესაბამისად 48.7 პროცენტს და 44.8 პროცენტს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამუშაო ძალის მონაწილეობის დონისა და დასაქმების დონის მაჩვენებლები 2019-2024 წლებში, კვარტალების მიხედვით.

დიაგრამა №2

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე და დასაქმების დონე

(%)



19.11.2024

2024 წლის III კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაქირავებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში 0.2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 69.2 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით 2019-2024 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №3

დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით

(%)



19.11.2024

2024 წლის III კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, უმუშევრობის დონე საქალაქო ტიპის დასახლებებში შემცირებულია 2.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 0.5 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის მიხედვით 2019-2024 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №4

უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის მიხედვით

(%)



19.11.2024

უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2024 წლის III კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი 1.3 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული ქალებში, ხოლო კაცებში - 2.0 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად 11.5 პროცენტს და 15.6 პროცენტს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით 2019-2024 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №5

უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით

(%)



სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალებთან შედარებით მაღალია კაცებში. 2024 წლის III კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში 44.9 პროცენტს, ხოლო კაცებში 66.1 პროცენტს შეადგენდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალებში გაზრდილია 1.9 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 0.2 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე სქესის მიხედვით 2019-2024 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №6

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე სქესის მიხედვით

(%)



19.11.2024

2024 წლის III კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დასაქმების დონე გაზრდილია ქალებში 2.2 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 1.5 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმების დონე სქესის მიხედვით 2019-2024 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დიაგრამა №7

დასაქმების დონე სქესის მიხედვით

(%)



საკონტაქტო პირი:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600), E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge